

დანტე და ბაირონი მთარგმნელობით სივრცეში - ქართული ნარატივი

თინათინ სიხარულიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
დოქტორანტი თარგმანმცოდნეობაში

საკვანძო სიტყვები: დანტე, ბაირონი, გამსახუხდია

იტალიელი პოეტის - დანტე ალიგიერის (1265-1321) „ღვთაებრივმა კომედიამ“ (1320) საუკუნეების განმავლობაში უდიდესი ზეგავლენა მოახდინა მსოფლიოს პოეტთა შემოქმედებაზე. მის „ღვთაებრივ კომედიას“ არამცთუ თარგმნიდნენ სხვადასხვა ენაზე, არამედ განავრცობდნენ კიდევაც. სათაურში მითითებული საკითხი სამ ქვეთემად შეიძლება გამოვყოთ: 1. დანტეს ბიოგრაფია და შემოქმედება საქართველოში ახლად მიკვლეული დავით ონიაშვილის საარქივო მასალის მიხედვით, ფრაგმენტი გამოუქვეყნებელი წერილისა; 2. ბაირონის პოემა „დანტეს წინასწარმეტყველება“; 3. დანტეს „ღვთაებრივი კომედია“. ქართული თარგმანის ისტორიისათვის.

დანტე ალიგიერის სახელი ჯერ კიდევ XIX საუკუნეში იყო ცნობილი ქართველი მკითხველი-საზოგადოებისათვის, ხოლო XX საუკუნეში მისი ბიოგრაფიით დაინტერესება დაკავშირებულია ქართველი რეპრესირებული პოლიტიკური მოღვაწის, მთარგმნელ დ. ონიაშვილის (1883-1937), სახელთან. დავით ონიაშვილი ფლობდა ბევრ ენას, კითხულობდა ორიგინალში გამოჩენილ უცხოელ მწერალთა ნაწარმოებებს, თარგმნიდა და ცდილობდა, პოპულარიზაცია გაენია მათთვის ქართულ სინამდვილეში. დ. ონიაშვილის შთამომავლის - მაია თვარაძის საოჯახო არქივში მივაკვლიეთ დ. ონიაშვილის დაუმთავრებელ სტატიას, რომელიც მოიცავს დანტე ალიგიერის ბიოგრაფიის ფრაგმენტებს. აშკარაა, რომ დ. ონიაშვილი კარგად იცნობდა, როგორც დანტე

ალიგიერის ბიოგრაფიას, ისე მის შემოქმედებასაც. ამდენად, წინამდებარე ნაწყვეტში წარმოდგენილია დანტეს მოკლე ბიოგრაფია და „ღვთაებრივი კომედიის“ მოკლე შინაარსის დასათაურება. ჩვენთვის უცნობია, რა წყაროთი უნდა ესარგებლა დ. ონიაშვილს, მაგრამ აშკარად იგრძნობა მისი ღრმა ერუდიცია, ფაქტებთან პირუთვნელი მიდგომა და ზოგადი ანალიზი.

1816 წლის შემდგომ, იტალიაში ყოფნის პერიოდში, საბერძნეთში გამგზავრებამდე, ბაირონი ღრმად ეცნობა იტალიასა და მის კულტურას. 1819 წელს ის განსაკუთრებულად ინტერესდება რავენათი და დანტეს შემოქმედების გაცნობის შემდგომ ებადება აზრი, შექმნას ნაწარმოები დანტეს განდევნილობის სიუჟეტზე. ასე შეიქმნა პოემა სახელწოდებით „დანტეს წინასწარმეტყველება“ (“The Prophecy of Dante”);

ბაირონის „დანტეს წინასწარმეტყველება“ მიძღვნისა და ოთხი სიმღერისგან შედგება და მასში დანტეს პირით გაჟღერებულია აზრი, გაფრთხილება იტალიელი ერის მიმართ, რომ გაერთიანების გარეშე დიდი უბედურება ელით. ის დაწერილია დანტესეული სალექსო ზომით, რომლის იტალიური სახელწოდებაცაა “Terza Rima” და ერთგვარად წარმოადგენს მეტრულ ექსპერიმენტს.

ბაირონის პოემის - „დანტეს წინასწარმეტყველების“ შექმნა დაკავშირებული იყო დიდ სირთულეებთან. ქართულ ენაზე აღნიშნული პოემა არ არის თარგმნილი (არსებობს მხოლოდ მოცემული პოემის ანონიმური რუსული თარგმანი, რომელიც გამოცემულია სტრელობიცკის მულტიმედიური ელ-წიგნის სახით და მოითხოვს საავტორო უფლებების მკაცრად დაცვას), მაგრამ ის საინტერესოა ბაირონის მგზნებარე სულისკვეთების, თავისუფლებისმოყვარეობის ახლებური გააზრების თვალსაზრისით. როგორც თვითონ ბაირონი აღნიშნავს მიძღვნაში, იგი თავის პოეტურ მუზას იტალიელი მგოსნის მიბაძვით აჟღერებს, თუმც, ამავე დროს, ინდივიდუალურ ინტერპრეტაციასაც გვთავაზობს.

კონსტანტინე გამსახურდია (1893-1975) - დიდი ქართველი მწერალი და მთარგმნელი, 1928 წელს ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე სწორედ დ. ონიაშვილთან გამართულ დისკუსიაში იძლევა თავისებურ განმარტებას, თუ როგორ უნდა ითარგმნოს

დიდი უცხოელი ქართულად; ის ხაზს უსვამს, რომ საჭიროა მწერლის სტილის გათვალისწინება, წყარო ენისა და სამიზნე ენის სიღრმისეული ცოდნა და სიზუსტე თარგმნისას. იგი გადაჭრით უარყოფს თავისუფალ თარგმანს.

აშკარაა, სწორედ ამიტომ დ. ალიგიერის „ღვთაებრივი კომედიის“ თარგმნისას კ. გამსახურდიამ ამჯობინა, მიემართა კონსტანტინე ჭიჭინაძისათვის (1891-1960), რომელიც იყო ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე და ითვლება ჯ. გორდონ ბაირონის ნაწარმოებების მთარგმნელად XX საუკუნეში. კ. გამსახურდიამ შესთავაზა პოეტს საკუთარი პნკარედი.

კონსტანტინე გამსახურდიას IX ტომის გამოცემის სქოლიოში მინიშნებულია, რომ „ჯოჯოხეთის“ ნახევარი თარგმნა კ. ჭიჭინაძემ კ. გამსახურდიას მიერ შესრულებული პნკარედის მიხედვით. კომენტარები შეადგინა კ. გამსახურდიამ. (კ. გამსახურდია, ტ. 9. 2007:157).

კ. გამსახურდიას კომენტარებში ჩანს არა მხოლოდ დიდი ერუდიცია, არამედ დანტეს ცხოვრება-შემოქმედების, მისი კომენტატორების ნააზრვეის ღრმა ცოდნა და ანალიზი.

ამგვარად, ჩვენ გავაერთიანეთ სამი თემა, რომლებიც უკავშირდება დანტეს სახელსა და საქართველოს. ვფიქრობთ, განხილული საკითხები საინტერესო უნდა იყოს დანტეს სპეციალისტებისა თუ თარგმანმცოდნე ანალიტიკოსებისათვის.

ლიტერატურა:

გამსახურდია, კ. (2007). თხზულებანი ათ ტომად. თარგმანი, ტომი 9, თბილისი: „საქართველოს მაცნე“.

თვარაძე, მ. საოჯახო არქივი.

DANTE AND BYRON IN THE TRANSLATION SPACE - GEORGIAN NARRATIVE

Tinatin Sikharulidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities, a PhD student in translation studies

Keywords: *Dante, Byron, Gamsakhurdia*

One of the famous Italian poets Dante Alighieri's (1265-1321) masterpieces called "The Divine Comedy" (1320) has had a great influence on the creative work of the poets throughout the world for centuries. Dante's "The Divine Comedy" was not only translated into various languages, but also it was expanded. The issue stated in the title can be divided into three sub-topics: 1. Dante's biography and creative work according to the recently found archival material of D. Oniashvili in Georgia, a fragment of an unpublished letter; 2. Byron's poem entitled "The Prophecy of Dante" (1821); 3. Dante's "The Divine Comedy" for the history of the Georgian translation. The name of Dante Alighieri was known to the Georgian readership in XIX century and in XX century a great interest in his biography is related to the name of the Georgian repressed political figure, translator D. Oniashvili (1883-1937). David Oniashvili spoke many languages, read the works of prominent foreign writers in the original, translated them and tried to popularize them in Georgia. In the family archive of D. Oniasvhili's descendant Maia Tvaradze we discovered the fragments of Dante Alighieri's biography in the unfinished article of D. Oniasvhili. It is obvious that the author was well acquainted with both Dante's biography and his creative work. "The Prophecy of Dante" consists of a dedication and four cantos. In his narrative poem Dante utters an opinion, appealing to the Italian nation to unify, otherwise a great calamity awaits the Italians.

Byron's poem "The Prophecy of Dante" was written in Dante's rhyming verse form, in Italian entitled "Terza Rima", which is a metrical experiment.

The creation of Byron's poem "Dante's Prophecy" was associated with great difficulties. This poem has not been translated into Georgian yet. There is only an anonymous Russian translation of this poem (published as an e-book by Strelbitsky, a multimedia publisher, and requires a strict regulation of the copyright), but it is interesting in terms of a new understanding of Byron's passionate spirit of freedom. As Byron himself pointed out, in the dedication, he echoed his poetic muse as an imitation of the great Italian poet, though the great romantic poet, Byron offered an individual interpretation of his poem.

The writer, translator Konstantine Gamsakhurdia (1893-1975), who was in the discussion with D. Oniasvhili in the magazine "Mnatobi" in 1928, explained adequately how to translate a great foreign poet's work into Georgian; namely, he pointed out that it was crucial to consider the style of the poet while translating from the source language into the target language. He resolutely rejected free translation.

It is obvious that while translating Alighieri's "The Divine Comedy", K. Gamsakhurdia uses the translation of the famous poet and public figure, Konstantine Chichinadze (1891-1960), who is considered to be the translator of the works of G. Gordon Byron in XX century. K. Gamsakhurdia offered the poet his word for word translation.

As K. Gamsakhurdia noted in a footnote of volume IX of his selected works, "half of the translation named "hell" was translated by K. Chichinadze according to K. Gamsakhurdia's word for word translation. The comments were made by K. Gamsakhurdia (K. Gamsakhurdia, v. 9, 2007:157).

The comments by K. Gamsakhurdia are made not only with great erudition, but also with deep knowledge and analysis of Dante's life, creative work and the thoughts of his commentators.

We have presented abovementioned three themes around Dante Alighieri in connection with Georgia and we think it should be useful to Dante’s specialists and translation analysts.

References:

- Gamsakhurdia, K. (2007). tkhzulebani at tomad. piesebi. targmani, t.9.
[Selected works in 10 volumes. Plays. Translation. v.9], Tbilisi,
“Sakartvelos Matsne”.
- Tvaradze, M. Family archive.